№ 145 მკათათვე 12, ოთხშაბათი 1889 მკათათვე 12, ოთხშაბათი № 145


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . . . | 10 — | 6 . . . . . | 6 — |
| 11 . . . . . | 9 50 | 5 . . . . . | 5 50 |
| 10 . . . . . | 8 75 | 4 . . . . . | 4 75 |
| 9 . . . . . | 8 — | 3 . . . . . | 3 50 |
| 8 . . . . . | 7 25 | 2 . . . . . | 2 75 |
| 7 . . . . . | 6 50 | 1 . . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, პასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

კნეინა ანნა გრიგოლის ასული ერისთავისა და თავადნი გიორგი და ნიკოლოოზ დავითის ძენი ერისთავნი გულითადის მწუხალებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას—პირველი მეუღლისას თვისისას და მეორენი მამისას—სტატსკი სოვეტნიკის თავადის დავით ლუარსაბის ძის ერისთვისას და სთხოვენ მობრძანდნენ გარდაცვალებულის განსასვენებლად მკათათვის 13-ს, ხუთშაბათს, დილის ათს საათზე, დუშეთის მაზრაში, სოფელ ახალგორს. გარდაცვალებულს წირვას გადაუხდიან და დაასაფლავებენ საკუთარს კარის ეკკლესიაში. (1—1)

ტფილისი, 11 მკათათვე

იქნება ბევრმა მკითხველმა არც-კი იცის, სადა და რა ქვეყანაა ისლანდია. ეს სახელი იშვიათია გაზეთებშიაც-კი, რომელნიც მთელის მსოფლიოს ავ-კარგიანობას მოგვითხრობენ ხოლმე. ამ ქვეყანას ნაკლებად ადევნებენ თვალ-ყურს ევროპიელნიც, რადგანაც ევროპაზე ძალიან დაშორებულია და არც იმდენი საპოლიტიკო მნიშვნელობა აქვს. თავდასხმას არავინ ემუქრება, რადგანაც ძნელად ხელ-მისაწვდენია,—არც მაინც და მაინც სახარბიელო რამ არის ბუნების სიმდიდრითა, თუ სხვაფრივ და თითონაც არავის აწუხებს. ერთის სიტყვით, თითონაც მოსვენებით არის, ევროპის საპოლიტიკო თუ სხვა საქმეებში მონაწილეობას არ იღებს და ამიტომ თავ-მინებებულია და თითქმის მივიწყებულიც. თუ ვინმემ როგორმე ახსენა ისლანდია, ამის მიზეზი ან ამ ქვეყნის მკაცრი და სუსხიანი ჩრდილოეთის ბუნებაა, ან იმისი მყინვარები და ცეცხლის მფრქვევი მთები, ან იმისი ცხელი წყლები, რომელნიც შადრევანისებურად სცემენ დედამიწიდგან, ან იმიტომ, რომ ეს ქვეყანა მდებარეობს ჩრდილოეთის ზღვაში და თითქმის სრულიად გარშემორტყმულია მცურავის ყინულის ვეებერთელა გორებით.

ეს კუნძული პირველად მეცხრე საუკუნეში იპოვნეს ნორვეგიელებმა, რომლებიც დასახლდნენ აქ და გამრავლდნენ. ნორვეგიელები გაექცნენ თავიანთის სამშობლო ქვეყნის უსამართლობას და აქ, ისლანდიაში, არ შეუშინდნენ არც ღარიბს, მკაცრს ბუნებას, არც სუსხიანს ჰავას, ოღონდ თავისუფლება შეერჩინათ. იმათ დაიჭირეს მთელი კუნძული, მეათე საუკუნეში მიიღეს ქრისტიანობა, შეჰქმნეს საკუთარი მწერლობა და დააწესეს საკუთარი მართებლობა, მაგრამ მეცამეტე საუკუნეში ნორვეგიის მეფემ დაიპყრო კუნძული და მას შემდეგ ისლანდიას თავისუფლება არა ჰღირსებია. მეთოთხმეტე საუკუნეში ისლანდია და ნორვეგია წილად ხვდა დანიას და მას შემდეგ დანიის მფლობელობის ქვეშ იმყოფება.

იქნება მკითხველმა იკითხოს, რით არის შესანიშნავი ეგ ქვეყანა, რომ იმის ამბავს მოგვითხრობთო, მაშინ-როდესაც სხვა უფრო შესანიშნავი და საყურადღებო ქვეყნები და საქმეები იპოვება დედამიწის ზურგზეო. დიაღ, ეს შენიშვნა სამართლიანია, ხოლო ისლანდიაში ამ ჟამად ისეთი ამბავი დატრიალებულა, რომ ძალა-უნებურად იზიდავს ჩვენს ყურადღებას. ასე გასინჯეთ, ამ ღარიბსა და ქვეყნიერებაზე დაშორებულს ქვეყანას განუზრახავს პოლიტიკური თავისუფლება, დამოუკიდებლობა დაიმკვიდროს და დანიის ბატონობა თავიდგან აიცილოს. მართალია, დანია მაინცა და მაინც არ აწუხებს ისლანდიას, მაგრამ ისლანდიელები მაინც იმ აზრისანი ყოფილან, რომ თავისუფლება თავი და თავი, ფას-დაუდებელი საუნჯეა ერისათვისაო. ისლანდიელ მწერლობასაც თავი გამოუდვია, ამ აზრსა ჰქადაგებს და ავრცელებს. ის-კი არ იფიქროთ, ვითომ ისლანდიას განზრახვა აქვს ძალა იხმაროს და ბრძოლის ველზე გამოიწვიოს თავისი მფლობელი პატარა და სუსტი დანიაო. არა, ისლანდია იარაღს ხელს არა ჰკიდებს, რადგანაც იმედი აქვს სხვა საშუალებით დაიმკვიდროს თავისუფლება. ისლანდიელთ აზრად აქვთ კანონიერად, უსისხლოდ და უთოფ-ზარბაზნოდ დააღწიონ თავი დანიას. ამ აზრით ერთს წარმომადგენელს პარლატისას, იონ ოლაფსონს, ადრესი შეუდგენია და უნდა მიართვას პალატას, რომელიც განიხილავს ისლანდიელთა სურვილსა და თხოვნას, და თუ ისლანდიელთ ამ საშუალებას მიჰმართეს, ალბად იმედიცა აქვთ, რომ დანია იმათს სურვილს აღასრულებს.

ეს ამბავი ყოვლად შესანიშნავი და საყურადღებოა, მით უფრო, რომ ისლანდიელთ მიჰმართეს არა-ჩვეულებრივს საშუალებას. თუ ვინიცობაა დანიამ უსისხლოდ და ძმურად დაუთმო ისლანდიას თავისუფლება და დამოუკიდებლობა, სწორედ საგულისხმო და სასარგებლო იქნება ერთისაცა და მეორისათვისაც. დანიასა და ისლანდიას შორის მეტი სიყვარული და თანაგრძნობა დამკვიდრდება და ევროპისათვისაც კარგი მაგალითი იქნება. ისლანდიელთ წადილი თუ შეუსრულდათ, ჩრდილოეთ ზღვაში, მყინვარებისა და სუსხის სამფლობელოშიაც-კი, ევროპის საპოლიტიკო შფოთსა და ალიაქოთს გარეშე, ფეხს აიდგამს ისლანდიის ერი თავის დასაბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** ამ დღეებში კუკიის რომაელ-კათოლიკეთა ეკკლესიაში მოინათლა ერთი ებრაელის დედაკაცი, რომელსაც ცოლად ირთავს ერთი ფრანგი. ამბობენ, რომ კიდევ სამს ებრაელს დედაკაცს მიუციათ თხოვნა, სადაც ჯერ არს, რომ ქრისტიანობის მიღება გვსურსო.

*** ამ დღეებში მეორე განყოფილების მომრიგებელ სასამართლოს გამომძიებელმა გაათავა გამოძიება და გადასცა ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორს იმის შესახებ, რომ ვიღაც მ—ვს მოტყუებით მოუტაცნია ამ ათის თვის წინად ნ—ძის ქალი და გაუპატიურებია. ამ ქალს ეხლა ეყოლა შვილი და მ—ი-კი უარზეა, ჯვარს არ იწერს ამ თავის მიერ გაუპატიმრებულს ქალზე, რის გამოც ქალის პატრონებმა უჩივლეს. ეს საქმე, როგორც შევიტყვეთ, ტფილისის ოლქის სასამართლოში ამ ცოტა ხანში იქნება გარჩეული.

*** ამ დღეებში სასახლის ქუჩაზედ მცხოვრებელს ბ-ნს შ—ძეს მოჰპარეს რევოლვერი. ქურდისა და დანაკარგის ძებნა მაშინვე დაიწყო პოლიციამ და აღმოაჩინა, რომ ქურდი ვიღაც თ—ვია. რევოლვერიც იპოვეს და პატრონს დაუბრუნეს. ამ ამბავში სამწუხარო ის არის, რომ თ—ვი მოწაფე ყოფილა ერთის აქაურის სასწავლებლისა.

# ფელეტონი

### ცხოვრების წვრილმანები

საიქიოს პატარძალი*)

(შპედრინიდამ)

აგერ თხუთმეტი წელიწადი იქნება მას აქეთ, რაც ოლგა ლაგოდინის ასულმა ინსტიტუტის გაათავა და სოფელში საცხოვრებლად წავიდა. მაშინ ის ცხრამეტი წლისა იყო. ამისი ამხანაგები ქალაქებში გაიფანტნენ ბედის საძებრად. ოლგას გამდელი მოუვიდა, თავისი „საკუთარი“ ტანისამოსი გადააცვა და სოფელში წაიყვანა. გზაზე შინიდამ წამოღებულის საგძლით იკვებებოდნენ. ამათი სოფელი ბარე ასის ვერსით იყო ქალაქზე მოშორებული და მოგზაურობას სამი დღე მოუნდნენ.

ვასილი თეოდორეს ძე ლაგოდინი მოხუცებული კაცი იყო. მუდმივის ავადმყოფობის გამო ღონე-მიხდილი ჰქონდა, სავარძელს ველარა შორდებოდა და ოთახში დიდის გაჭირებით გაივლ-გამოივლიდა ხოლმე. სამოცის წლის კაცს სანუგეშო აღარა აქვს რა და ამას-კი სხვა სიკეთესთან სენიც აწუხებდა. მნახველი არავინ მოდიოდა, ერთს ექიმს გარდა, რომელიც ქალაქიდამ კვირაში ერთხელ შემოივლიდა ხოლმე. ეს ექიმი სულ ოც-და-ექვსის წლის კაცი იყო, მაგრამ ოჯახობას ადრე მოჰკიდებოდა. მუდამ დაღვრემილი, დაღონებული და ჩაფიქრებული დაიარებოდა. განმარტოებული ვასილი დიდს მწუხარებაში იმყოფებოდა, მორჩენის იმედი აღარა ჰქონდა და სიკვდილს ერთის სულით ელოდა, რომ ამ წვალებას მორჩენოდა.

ორი ქალ-ვაჟი ჰყვანდა: ვაჟს პავლე ერქვა, ოც-და-ორის წლისა იყო და იმისი სიკეთე მამას არ ენახა, სადღაც გადაკარგულ ადგილას მსახურობდა, დროს ქეიფსა და ლხინში ატარებდა, ყოველ გვარი უბედურება იმას შეხვდებოდა და ოჯახის სიყვარული სრულებით არა ჰქონდა. ქალიშვილი, ინსტიტუტში კურს-შესრულებული, მშვიდი და წყნარი გამოდგა, მაგრამ მამას გული უღონდებოდა, იმის ბედზე რომ იფიქრებდა. ამას თავისი ახალგაზდობა სნეულის მამის ყურებაში უნდა გაეტარებინა და მხოლოდ იმისი სიკვდილი გადაარჩენდა უფერულსა და უიმედო მომავალს. მართალია, ჰყავდა მამიდა, ქალწულად დარჩენილი, რომელიც სამეუფო ქალაქში სცხოვრობდა, მისვლა-მოსვლა „კარგ ხალხთან“ ჰქონდა და ყოველისავე თანამედროვე აზრით მუდამ აღშფოთებული იყო. მამას უნდოდა ოლგა თავის დასთან გაეგზავნა და ნადექდაც დასთანხმდა, მაგრამ ოლგა მამის ნებას არ დაჰყვა. ამას ეგონა, ჩემი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ სნეულს მამას თავ-ქვეშ ვუჯდე და აღარ მოვშორდე ხოლმეო. თან სოფლის განმარტოებული ცხოვრება სახარბიელოდა ჰქონდა წარმოდგენილი: თვალ წინ უდგა დიდი დარბაზი დიდროնის ოთახებით, ბალი აივნებით; ზაფხულში ჰაერი სურნელოვანებით შეზავებული, ბაღში საამო ფრინველების ჭიკჭიკი; ზამთარში ღრმად ჩაფიქრებულ-გატიტვლებული ხეები; ირგვლივ საამო სანახავები. ამ ორს სურათს თავ-თავისი სიკეთე აქვს: პირველი გვიჩვენებს განცხრომას, სიცოცხლეს, ხოლო მეორე—დაღონებულს, წყნარს გამოსალმებას.

მაგრამ, ამ სასიამოვნო სანახავებს გარდა, იმას სხვა-და-სხვა კეთილი განზრახვა იტყუებდა სოფელში. აირჩევს რამდენსამე სოფლის პატარა გოგოს და სწავლებას დაუწყებს; ჰნახავს ხოლმე გაჭირებულს ავადმყოფებს და შეძლებისადა გვარად ხელს შეუწყობს, დაეხმარება. მართალია, ექიმობა არ უსწავლია, მაგრამ მაზრის ექიმის დახმარებით ამ ნაკლულევანებასაც თავიდგან ადვილად აიცილებს. ამას გარდა მეურნეობისათვის ფართო სარბიელი ექნება. ზაფხულში მინდვრად გაივლის, ჰნახავს, როგორ ჰხნენ და მკიან, ზამთარში ნამუშევარს იანგარიშებს. ერთის სიტყვით, სარბიელი ფართო ექნება.

საცხოვრებელი ლაგოდინებს სამყოფად ჰქონდათ, ასე რომ გაუჭირებლად შეეძლოთ ცხოვრება. ამ მხრით ვასილს ბავშვების მომავალი არ აწუხებდა. იმას მხოლოდ შვილის უკულმართობა არ აძლევდა მოსვენებას და ჰხედავდა, რომ მარტოდ-მარტო ქალიშვილი შერჩებოდა. დანაღვლიანებული იმ ბედნიერს ოჯახებს იგონებდა, სადაც დიდი ნათესაობაა და ნათესაობის კავშირი მტკიცედ არის დამკვიდრებული. ახალგაზდებისთვის მაინც არის თავ-შესაფარი, თუ ქონებაში დიდი განსხვავება არ არის. ღარიბის ნათესავის ყოლა საზარელია, მაგრამ თუ ერთი ლუკმა რამ გაგაჩნია, თავ-შესაფარს ყოველთვის იშოვი. აი, ოლგა რომ გათხოვილიყო, დიდს შეღავათს მისცემდა თავისს თავსაცა და ძმასაც. ძმაც იშოვიდა თავ-შესაფარს დის ოჯახში და კაცად იქცეოდა. მაგრამ ოლგას გათხოვების იმედი აღარ იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნადექდასთან წასვლაზე უარი განაცხადა. ვინა ჰნახავს იმას ამ გამოყრუებულს სოფელში? დასნეულებულ მამის გარდა ვის რად ეჭირვება?

ამას გარდა მოხუცებული თავად არა ჰფარავდა ოლგას უშნოობას (ინსტიტუტშიაც გონჯს ეძახდნენ), და ამას ხომ დიდი ზედ-მოქმედება აქვს გასათხოვარის ქალის ხვედრზე. სახე მოლეული ჰქონდა და ტანიც უშნოდ აგებული. მოსაწონი არა ჰქონდა-რა. ის მხოლოდ იმას შეუყვარდებოდა, ვინც იმის ჭკუისა და გულის ამბავი იცოდა. მაგრამ ამისთანა დამფასებლებს ძვირად შეხვდებით და, რაღა თქმა უნდა, სოფლად იმათის ნახვის იმედი არ უნდა გვქონდეს.

მივიდა სოფელში თუ არა, ოლგა განუსაზღვრელ მარტოობის მორევში ჩავარდა. მოხუცებული მამა სავარძელიდამ ფეხს არ იცვლიდა და მწუხარედ დადუმებულიყო. ოთახებში არაფერი მოიძეოდა-რა. საათის რაკა-რუკსა და ფეხის გადადგმას ისეთი ხმა გაჰქონდა, რომ ოლგა ხანდახან შეკრთებოდა ხოლმე. სარკმელიდამ სასიამოვნო არა მოჩანდა-რა. დათრთვილული ხის ტოტები ბაღში მძიმედ დადუმებულიყვნენ და ძლივს ინძრეოდნენ; მდინარე დაკლებული იყო; წყალ-გალმა იშვიათად გამოჩნდებოდა გამვლელი, უსწორ-მასწორო გზიდამ ისიც არა სჩანდა.

თეთრი საყდარი თავის სამრეკლოთი გორიდამ ისე გადმოჰყურებოდა თითქოს ჩამოსვლა და რილაცის თქმა უნდაო. იმისს მარჯვნივ გაშიშვლებულის ბაღის გაღმა სოფლის ბილიკი მოჩანდა, მაგრამ ამასაც რაღაც სიკვდილის ბეჭედი აჩნდა. რა-კი ბა-

*) ასე ეძახიან იმ გასათხოვარ ქალებს, რომლებისათვისაც ბედს საქმრო არ ურგუნებია.

*** მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალლადი, როგორც ჩვენ გვატყობინებენ, ჩამობრძანდება ტფილისს ამ თვის თხუთმეტს.

*** ამ თვის ნახევარში ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია გასარჩევად საქმე ვილაცა დანდუროვისა, რომელსაც ჰბრალდება ციხიდგან გაქცევა. ეს დანდუროვი, რაც ციხიდგან გაიქცა, მოურავად დააყენა ერევანში სასამართლოს გამომძიებლად ნამყოფმა ხოსროევმა, რომელსაც კატორგა აქვს გადაწყვეტილი თავისის ავეჯისა და ნივთების დაწვისათვის დაზღვეულ ფულის მისაღებად. ციხიდგან გაქცეულს დანდუროვს ხოსროევი ჰმალავდა თურმე, სანამ თითონვე არ ჩაუვარდა სასამართლოს ხელში.

*** დ. სურამი: „ივერიაში" არა ერთხელ ყოფილა გამოცხადებული აქაური უწესოება და ურიგობა, მაგრამ ყოველივე ჩვენი საჩივარი ამაო გამოდგა, რადგანაც ყურადღება არავინ ათხოვა. აქაურის უწესოების მაგალითსაც მოგახსენებთ: ვერ წარმოიდგენთ, თუ რამდენად გათამამებულნი და თავ-გასულნი არიან სურამელი ყასბები. მისთანა ფასებს ჰნიშნავენ ხორცეულობაზე, რომ სხვაგან ამ ფასად ხორცი არსად იყიდება. ნიხრი არის დადგენილი, მაგრამ ამ ნიხრით არავინ ხელმძღვანელობს, და ან ვინ იხელმძღვანელებს, როცა ფუთობაზე არის შედგენილი. ფუთი ხორცი საქონლისა ნიხრით ღირს 3 მან. და 60 კაპ., მაგრამ ფუთობის ანგარიშზე გირვანქობით ხორცსა და პურს არავინ მოგყიდით. ხორცს 15—20 კაპეიკზე ნაკლებ ვერ იშოვით. «ფუთობით იყიდეთ და მაშინ ნიხრში აღნიშნულ ფასად მიირთვითო», მოგახსენებთ ყასაბი, თუ სხვა ვაჭარი, რომელმაც კარგად იცის, რომ სურამში ფუთობით მყიდველი არავინ არის. იგივე ითქმის სხვა სანოვაგის შესახებაც. როგორც ჰხედავთ, ნიხრი ისეა შედგენილი, რომ ყასბებსა და სხვებს საშუალება აქვთ რა ფასადაც უნდათ, იმ ფასად ჰყიდონ ხორცი, პური, ნავთი და სხვანი. სულ სხვაფრივ იქნებოდა საქმე და ვაჭრებიც უფრო თავ-დაჭერილნი იქნებოდნენ, ნიხრი რომ გირვანქობაზე იყოს შედგენილი. ვგონებ დროა პოლიციის ბოქაულმა, რომელიც ნიხრს ამტკიცებს ხოლმე, ათხოვოს ყურადღება ყასბების თავ-გასულობას, თორემ ლამის არის სული ამოგვართვან.

*** დ. ახალ-სენაკი: განუწყვეტელმა წვიმებმა თავი მეტად მოგვაბეზრა. ყანებს ბალახი მოერია და, ვგონებთ, მოსავალიც ნაკლები იქნება, თუ ამინდმა დრომდე ხელი არ შეუწყო. სიმინდი სულ მტვერად არის წასული და ხალხი სათოხნადაც ვერ შედის ყანებში. წელს „იზაბელას" ვენახს კარგად ასხია, ხოლო იმას ვშიშობთ, ვაი თუ წვიმებმა ეზსაც ავნოს. გარდა ამისა ზოგს სოფელში საქონლის ჭირიც გამოჩნდა, სახელდობრ, სოფ. რეევასა და თეკლათში, და იმისთანა დღე არ იქნება, რომ ხუთი-ექვსი თავი საქონელი არ მოაკლოს ჭირმა ამ სოფლებს.

*** კავკავი: აქ ორს ამ თვისას ქართულის სკოლის კომიტეტს გაუმართავს ამ სკოლის სასარგებლოდ ლატარია-ალეგრი, დარიც კარგი დასწრებია და ხალხიც დიდ-ძალი შეგროვილა. ბევრს კავკაველს შემწეობა აღმოუჩენია კომიტეტისათვის, ნივთების ჩუქებით, თუ სხვა გვარის დახმარებით. სულ მოგროვილა 1464 მან. და 31 კაპ., დახარჯულა 500 მან. 70 კაპ. ამ რიგად ხარჯს გარდა 963 მანეთი და 61 კაპ. დარჩენილა.

*** ათს ამ თვისას, მეექვსე განყოფილებაში, დილის ათს საათზე, მირზოევის ბაღში, ქუთაისის მაზრის სოფ. ღანირის მცხოვრებ პავლე დანელიას ოთახი ვილაცას გაუტეხნია და მოუპარავს 150 მანეთი ფული და ხუთის მანეთის ნივთები. ქურდს დაეძებენ. გამოძიება სწარმოებს.

*** იმავე დღეს, მესამე განყოფილებაში, იარმუკაზე, ცხენის რკინის გზის მეეტლე მათე ზუევის გაუფრთხილებლობით, ვაგონმა გაიტანა ტფილისის მოქალაქის გიორგი მერვეღლოვის ვაჟი, შვიდის წლის ბავშვი, რომელმაც იქვე განუტევა სული.

*** იმავე დღეს, მეოთხე განყოფილებაში, ქალაქის ექიმმა მაღალოვმა პოლიციელების თანადასწრებით გადააყრევინა ვაჭრებს 20 ფუთი გაფუჭებული თევზი, 15 ფუთი დამპალი ხილი და კიტრი და ფუთ-ნახევარი პური.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

კავკავი. 16 და 25 რიცხვები წარსულის თიბათვისა კავკავის ქართველებისათვის დიდხანს იქმნება სახსოვარი და სალაპარაკო. უნდა ჩავსწეროთ ქრონიკონში, რომ რაც ცა და ქვეყანა გაჩენილა, ამ რიცხვებში პირველად გაიმართა ქართული წარმოდგენა კავკავის საქალაქო თეატრში. დიდის ხნის მოლოდინი და სურვილი, რომელსაც „ივერიაში" ვსწერდით, ისე უცებ შეგვისრულდა, რომ სიზმარი გვგონია. სიამოვნების მიზეზი იყო ვლადიმირ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილი, რომელსაც „ივერიის" მკითხველები, ვექვობ, კარგად იცნობენ.

მესხიშვილი ბუხარადგან მომავალი, ჩვენდა სასიამოვნოდ, გვესტუმრა კავკაველებს და განიზრახა ქართულის წარმოდგენის გამართვა; თქმა და ქმნა თითქმის ერთი იყო. იქ, სადაც ჩვენ, აქ მცხოვრებნი, ვერასა ვხედავდით, შეჩვეულმა არტისტის თვალმა ფიცხლავ იპოვა რამდენიმე კაცი, რომელთაც შეჰნიშნა ნიჭი მსახიობისა. სულ ოთხს დღეში მოამზადეს ცაგარლის სამ-მოქმედებიანი კომედია ხანუმა და წარმოადგინეს 16-ს თიბათვისას. ეს წარმოდგენა ისე მარჯვედ მოვიდა, ხელად ამორჩეულმა მოთამაშეებმა ისე განაცხოველეს ეს კამედია, ისე მიიზიდეს აქაურ ქართველებ სომხების ყურადღება, რომ ხალხი აალაპარაკეს და გამოარკვიეს იმ თვლემიდგან და მთქნარებიდგან, რომელშიაც იყვნენ ჩაყურყუმელავებულნი. წარმოდგენაზე დამსწრეთაც დიდი სიამოვნება იგრძნეს. რამდენიმე ხანი ყველას ელანდებოდა „ხანუმა" (დარიკო, ინიაშვილის მეუღლე) და ქაბატუა (გოცირიძის მეუღლე). ვეღარ მოვიშორეთ თვალიდგან მიკიჩ ტყუილ კოტრიანცი (ალისუბნელი) და მისი ნოქარი აკოფა (მესხიშვილი). ეხლაც თვალ წინ გვიდგანან სონა (ელენე გვარამაძისა) და ივანე ფანტიაშვილი (ნ. მაჭავარიანი) თავისის ძმისწულის კოტეთი (ივ. ბედელაძე), თეკლე (მ. ბირშერტისა) და ტიმოთე (გოცირიძე). თავად მოხერხებული და მახვილობით სავსე თხზულება ცაგარლისა ზემოღხსენებულთ მოთამაშეთ ისე შეასრულეს, რომ წუნი არ დაედებოდა: მით უმეტესად საკვირველია ეს, რომ მესხიშვილის გარდა სხვა ყველანი პირველად იყვნენ გამოსულნი სცენაზე. რასაკვირველია, ბევრს ოფლს მოიწურავდა მესხიშვილი ამათს მომზადებაში, მაგრამ ის ქართული ნათქვამი უნდა მოვიგონოთ, რომელიც ამბობს: კარგს მთქმელს კარგი გამგონე უნდაო. ნიჭიანები რომ არა ყოფილიყვნენ, ასე მალე ვერ მოემზადებოდნენ სცენაზე გამოსასვლელად.

პირველმა წარმოდგენამ ისეთი ზედმოქმედება იქონია მსმენელებზე, რომ ყველამ ისურვა განმეორება ქართულის წარმოდგენისა და ჩვენმა არტისტებმაც სიამოვნებით აგვისრულეს გულის წადილი. 25 თიბათვისათვის მოამზადეს „ძუნწი" (თხზულება ერისთავისა) და „ბაიყუში" (იმავე ცაგარლისა). ამ მეორე წარმოდგენაში კიდევ უფრო კარგი სანახავნი იყვნენ იგივე მოთამაშეები, ამ გზობით სწორედ დახელოვნებულს მსახიობებსა ჰგავნდნენ. ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ თითონ მესხიშვილზე, იმის თამაშობას ქება აღარ უნდა; ჩვენ მხოლოდ გვაკვირებენ ხამად სცენაზედ გამოსულნი. ჩვენ „ბაიყუში" არ გვინახავს სხვა სცენაზე და ამისათვის არ ვიცით სხვანი როგორ თამაშობენ თალიკოს როლსა და აქ-კი ელენე გვარამაძის თამაშობა მართლადაც შესანიშნავი იყო. ნ. მაჭავარიანი, რომელსაც შეხვდა როლი რევაზ თავქარიანისა და რომელსაც არ უნახავს ამის მეტად თეატრი, გაგვაკვირვებდათ თავისის მოფიქრებულის თამაშობით. გოცირიძეები, როგორც ცოლი, ისე ქმარი, გასაოცრად ასრულებდნენ თავიანთს როლებსა. ეს ორი მოთამაშე, თუ კიდევ შემთხვევა ექმნათ, დიდს ნიჭს გამოიჩენენ. ბ-ნი ბედელაძეც, მეორე წარმოდგენაში, ბევრად უკეთ თამაშობდა. დარიკო ინიაშვილის მეუღლე, რომელსაც, ბირშერტის ავადმყოფობის მიზეზით შეჰხვდა როლი ელისაბედისა (ბაიყუშში), ისე გარკვევით და ცხადად თამაშობდა მოხუცებულის კაცის ცოლის როლს, რომ ბევრს მარად მოთამაშეს შეშურდებოდა. საზოგადოდ შენიშვნის ღირსი იყო ის, რომ თეატრში მყოფნი აღტაცებაში მოდიოდნენ და სიცილ-ტკრციალს არა ჰქონდა საზღვარი, გამოწვევა და აფერუმის ყვირილი შეუწყვეტელი იყო.

ამ შემთხვევის მადლობელნი უნდა იყვნენ კავკავში მცხოვრებელი ქართველნი და სომეხნი, რომელთაც პირველად ნახეს წარმოდგენა, ბევრნი ისე ათვალიერებდნენ თეატრის მოწყობილობას, რომ ხამობა ეტყობოდათ კავკავში მყოფი ქართველი და სომეხი, ქალი და კაცი, დაესწრნენ, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ თეატრი მაინც ვერ აავსეს. მაშასადამე,

---

ტონი ავად იყო, მოსამსახურეებს შინ ვერა ჰნახავდით. მხოლოდ ერთი შინაყმა წინა კარში იჯდა და მუდამ ეყვინთებოდა. სასახლის მახლობლად წისქვილი იყო და იქ ცოტა მოძრაობა ეტყობოდა, მაგრამ, რა-კი ოლგა ჯერ-ჯერობით სამეურნეო სარბიელზე გამოსვლას არ აპირებდა, იქაც ვერ მიდიოდა.

საღამოობით დარბაზის ყველა ოთახი გაჩაღდებოდა, სადაც ბატონი სულსა ჰლევდა. გაჩაღებული ოთახები ბატონს უყვარდა ხოლმე, სიცოცხლეს აგონებდა. ოლგა ახლოს მიუჯდებოდა და წიგნს უკითხავდა, მაგრამ ხანგრძლივმა ავადმყოფობამ მოხუცებული კითხვასაც გადააჩვია. მაშინ ქალიშვილი სტოლთან გადაჯდებოდა და თავისთვის კითხულობდა, სანამ მოხუცებულს დასაძინებლად არ წაიყვანდნენ. წიგნები შინ ბლომად დახვდა და იმისთვის ყველა ფერი ახალი იყო. ეს ცოტაოდნად უქარწყლებდა ამ ცუდაობას, რომელშიაც თავი ჩაიგდო. ის სულ რაღასაც ელოდა, რაღასაც ჰფიქრობდა: აი გავივლის ერთი-ორი თვე და ჩემს კალაპოტში ჩავდგები, სახლში კარგად მოვეწყობიო, ოცნებობდა ოლღა: სოფლად გავივლ გამოვივლი, მოწაფეებს ვიშოვი და სხ. მაშინ სოფლის ერთ-ფეროობაც აღარ შემაწუხებსო.

ამ ნეტარის ჟამის მომლოდინე კითხულობდა და ოთახ-ოთახ დაეხეტებოდა. პოეტური წარმოდგენა სოფლის მოწყობილობისა მალე გაუქრა, გრგვინვამა და ქარიშხალმა წინანდელს შთაბეჭდილებას ბოლო მოუღო და გადათეთრებული არე-მარეც მალე მობეზრდა. მყუდროება მოსვენებას-კი არა ჰგვრიდა, გულს სევდით უვსებდა. გული მოუსვენრად უფეთქავდა, ოცნება მოსვენებას არ აძლევდა. უნდოდა წარსულის მოგონებით ეს ცრუ ოცნება თავიდამ გამოედევნა და გონებისთვის უმჯობესი საზრდო მიეცა, მაგრამ დიდს ნუგეშს არც ეს უქადიდა, რადგან წარსული უშინაარსო იყო და ისეთი ბავშვური ხასიათი ჰქონდა, რომ იმაზე შეჩერება და დაფიქრება არც-კი ღირდა. ერთი-ღა დარჩენოდა, მამისთვის თავი გაეწირა და ამისათვის მზად იყო კიდეც. მაგრამ მოხუცებული ჰფიქრობდა, ვაწუხებო, და იმის მაგიერად შინა-ყმას ისაქმებდა.

— ნუ თუ ყველა ასე სცხოვრობს?—იმეორებდა ის და თვალი სადღაც სივრცეში ჰქონდა მიბჯენილი.

არა, არიან სხვები, რომლებიც სულ სხვა ნაირად სცხოვრობენ. მეზობლადაც ჰხედავდა ცხოვრებას, ფრიად დატანჯულს, მაგრამ მაინც ცხოვრება დაერქმეოდა.

ხანდახან მოისმოდა რომელისამე ოთახის კარის გაღება, ან მიხურვა. ეს ჰნიშნავდა, რომ ვინმე მოსამსახურეთაგანი შემოვიდა და უკანვე მიდისო. ამ სახლს ყველა ნაჟამარსავით უფერებდა, ერთის წამით შემოვიდოდნენ და იმ წამავე უკანვე გარბოდნენ. თავად მოხუცებული გამდელიც-კი მუდამ სამოახლოში იჯდა. იქ მხიარულად იყვნენ, განცხრომით, იქიდამ კაცის ხმა, კაცის სიცილი მოისმოდა; იქ რაღაცაზე ჰფიქრობდნენ, რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. ოლგას-კი საათის რაკარუკისა და საკუთარის ფეხის ხმის მეტი არაფერი ესმოდა. ამ სიჩუმეში რაღაცა იდუმალი ხმა ჩაჩურჩულებდა და ხანდახან ისე ცხადად, რომ შიშის ზარსა სცემდა. ჩიტი, ან ძაღლი მაინც ეშოვნა, გულს გადააყოლებდა. სრულად განმარტოებული დარჩა. განა ამისთანა სურათი ჰქონდა წარმოდგენილი, აქ რომ მოდიოდა?

მაზრის ექიმის მოსვლა ცოტათი აცხოველებდა. თუმცა მუდამ დაღრემილი იყო ექიმი და ხმას არ იღებდა, მაგრამ ადამიანობა მაინც ეტყობოდა თითონ არაფერს გკითხავდათ, მაგრამ პასუხს მაინც გაღირსებდათ. ამასთანავე სანდომიანი კაცი იყო: მკრთალი ფერი ჰქონდა, სევდით სავსე თვალები, ფართო შუბლი და შავი მსხვილი ბალანი. შესაძლოა უმიზეზოდ არ იყო დანაღვლიანებული. ამბობდნენ, უბედური ცოლი შეხვდაო, რომელიც წინად ოთახებს აქირავებდა და რომლის სახლშიაც ეს ექიმი იდგაო. საცოლო იქ გაეცნო. რამდენად მართალი იყო ეს ამბავი, ოლგამ არ იცოდა, მაგრამ იმას-კი ჰხედავდა, რომ ექიმის ცხოვრება რაღაც ბნელის ბურუსით იყო მოცული. ხანდახან კიდეც მუსაფიობდნენ, მაგრამ იმათი მასლაათი ხანგრძლივი არ იყო.

— თქვენ ცოლიანი ხართ?—ჰკითხა ერთხელ ოლგამ, სადილად რომ ისხდნენ.

— დიაღ, ცოლიანი გახლავართ,—მოკლედ და სხარტულად უპასუხა ექიმმა.

— შვილებიცა გყავთ?

— ბარე ოთხი.

— მითხარით ერთი, მხიარულობაა ქალაქში? არის დროს გასატარებელი საღამოები?

— არ ვიცი: ნაცნობები თითქმის არა მყავს და არც არსად დავიარები.

— რატომ?

— ასე მოეწყო ჩემი ცხოვრება. სასიამოვნო არა მაქვს-რა.

ოლგას უეცრივ გულში გაუარა: „რა ახალგაზდაა და კიდეც გაბმულაო!" მაგრამ უეცრივ მოაგონდა: რა ჩემი საქმეა „დაბმულა", თუ არაო, და ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

— მართლაც, არაფერი სასიამოვნო ცხოვრება, დასძინა ამანაც.

— საზარელია, საზარელი, საზარელი და უმნიშვნელო! სამჯერ გაიმეორა ექიმმა.

— მეტის-მეტს ხომ არ ამბობთ?

— არა, ეს გრძნობა თითონ თქვენც გექნებათ ნაცადი და, თუ ჯერ არ გიცდიათ, მერწმუნეთ, რომ მთელი თქვენი არსება იმითი იქნება მოცული. რისთვის? რადა? აი საკითხი, რომელიც იბადება თავში. მთელი ჩვენი ცხოვრება მონობაში მიმდინარეობს, მუდამ დღე და ჟამს წვრილმანებს ვანდომებთ, მუდამ წვრილმანს რამეებზე ვლაპარაკობთ, მთელი ჩვენი გონება წვრილმანის რამეებით არის შეპყრობილი.

— მე ხომ წვრილმანს რამეებზე არა ვფიქრობ, მაგრამ მეც დაღონებული ვარ.

— არა, თქვენი ცხოვრებაც წვრილმანებით არის სავსე, ხოლო ის თქვენ სხვაფრივ გაქვთ წარმოდგენილი. რას აკეთებთ ეხლა? რის გაკეთებას აპირობთ? უთუოდ ოცნებობთ რაღაც საქმიანობაზე, რომ სხვებს სარგებლობა მოუტანოთ. გაარჩიეთ თქვენი ოცნების აზრი და ჰნახავთ, რომ იქაც წვრილმანების მეტი არა არის-რა.

— მე ჯერ ხელი არაფრისთვის არ მიხლია და თქვენ ამ თავითვე მაშინებთ.

— უკაცრავად, მომიტევეთ. მე საზოგადოდ მოუხერხებელი ვარ და უცბად წამოვცდა.

ორივენი გაჩუმდნენ, რადგან იგრძნეს, რომ ამ გვარი ლაპარაკი ახალ ნაცნობებს შორის ცოტად თუ ბევრად უადგილო იყო. მაგრამ ნასადილევს, როცა იმან ქალაქში წასვლა დააპირა, ოლგას ხელ-ახლად გაუელვა თავში: „რად გაბმულაო!" და ფერი ეცვალა.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტანი ვყოფილვართ. ორივე წარმოდგენის დროს უკრავდნენ საზანდრები. ამ წარმოდგენებიდგან ქართულს სკოლას ერგო 73 მანათი. არც ეს არის ურიგო, სულ უარარაობას ცალფეხელი ხარი სჯობიაო.

ამას შემდეგ ბ-ნმა მესხიშვილმა შეადგინა რუსული დასი და თამაშობს აქაურს თეატრში.

იმავე დროს, როდესაც ქართული წარმოდგენა იყო, ბ. ნმა აბრამიანცმაც შეადგინა სომხური დასი და წარმოადგინეს ორჯელ: „ხათაბალა", „მსხვერპლი მსხვერპლისთვის", რუსულიდგან გადმოთარგმნილი, და „შეყვარებულნი". ამ წარმოდგენებს დაესწრნენ აგრეთვე ქართველებიცა, რადგანაც სომხურის სკოლის სასარგებლოდ იყო გამართული. ცხადად უნდა ვსთქვა, რომ თუმცა აბრამიანცი ყოვლად ჩინებულად თამაშობდა, თუმცა დანარჩენთ მოთამაშეთაც ზედ მიწევნით იცოდნენ თავიანთი როლები და ამასთან ძალიანაცა სცდილობდნენ საზოგადოებისათვის ესიამოვნებინათ, მაგრამ ბევრნი მაყურებელნი გარინდებულნი ისხდნენ და სცენას უგულოდ შეჰყურებდნენ. აქ არ იყო ის გულითადი კასკასი და ტკრციალი, როგორსაცა ვხედავდით ქართულ წარმოდგენის დროს. ამისი მიზეზი, ჩემის აზრით, არის უცოდინარობა სომხურის ენისა. ეს აშკარადა სჩანდა წარმოდგენის დროს ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, ე. ი. უთარგმნიდნენ სცენაზე ნათქვამს სიტყვებს. ცხადია, რომ ამისთანა გარემოებაში აღარავის ექნება დრო ყური უგდოს იმ მახვილ სიტყვებს, რომლითაც სავსეა „ხათაბალა". თეატრში შეიყარნენ სომხები. ნახჩევნელნი, მოზდოკელნი, ყიზლარელნი, აშტარხნელნი და სამხრეთ კავკასიელნი, რომელნიც თითქმის სულ სხვა ნაირად ლაპარაკობენ, და თვით პიესებიც, რომელიც ქალაქში დაუწერიათ, ესმით სამხრეთ კავკასიის სომხებს და ჩრდილოეთისას-კი არა; ზოგიც ძველის-ძველის ენით არის დაწერილი და ამიტომ არც ჩრდილოელთ და არც სამხრეთელებს არ ესმით. ამას გარდა რა საჭირო იყო გადმოთარგმნილის დრამის წარმოდგენა, როდესაც ნამდვილი პიესები ჯერ არ შემოლევიათ. საკმაოდ სასაცილო იყო რუსული ქცევა წარმოდგენის დროს. „ასკანუმეს, თე ჩე, ალექსანდრ ნიკალაევიჩ!" ჰკითხავდა ერთი ქალი თავის მოარშიყე ვაჟს. თუ კი მთელი დრამა გადმოაკეთეს, სახელის გამოცვლა, გასომხება-კი არ შეიძლებოდა! წარმოდგენის გამგეთ საზანდრები აღარ იკადრეს, მოიწვიეს ტენგინსკის პოლკის „ტრუბაჩები" და იმათის ბრახა-ბრუხით ამ პატარა თეატრში ყურები გამოგვიჭედეს. ნეტავი დაერიგებინათ მაინც, რომ ცოტა ნელა დაეკრათ. რასაკვირველია, მშვენიერია ევროპიული ორკესტრი თეატრში, როდესაც ორკესტრი არის შედგენილი თავის წესით; ამ „ტრუბაჩებს" ეგონათ, რომ რასაც ძალიან დააღრიალებდნენ თავიანთ ლოროტოტოებს, მით უფრო მოსაწონი იქნებოდა. მინდორში, რაც კარგი და სასიამოვნო არის, ის ოთახში არ ვარგა. ამას გარდა, ხუთის ნახჩევნელის ხათრით, რომელთაც საზანდრისა არა ესმით-რა, რა წესია, რომ 200 სული გამოაყრუონ დალაბანდების ბრახა-ბრუხით.

თუ ბ-ნ მესხიშვილისაგან გაწვრთნილი ხალხი, გარემოებისა გამო, არ შემოგვეფანტა, კავკავში ქართულის წარმოდგენის საძირკველი ჩაყრილია. მომსვლელ არტისტებს შეუძლიანთ შეადგინონ დროებითი დასი და გვასიამოვნონ კარგის წარმოდგენით.

# უცხოეთი

ირლანდია. ირლანდიის საქმე, რომელიც აქამდე სრულიად მიყუჩებული იყო, ეხლა ვგონებ კვლავ აპირობს გამოტყვრომას. ბრძოლა მიწის მფლობელთა და მოიჯარადრეთა შორის კვლავ აპირებს განახლებას და უფრო მეტის სიმწვავით, უფრო ძლიერად, ვიდრე აქამომდე იყო. ამ ხანობაზე-კი საქმის გამწვავებისთვის ხელი შეუწყვიათ თვით ლენდლორდებს, ფერმერებიც არ გაჰქცევიან და ვგონებ ბრძოლაც ჩქარა უნდა დაიწყოს. ჰომრულზე ლაპარაკი ჯერ-ჯერობით მივიწყებული იქნება და კამათი მხოლოდ საადგილ-მამულო საქმეზედ ექნებათ.

რომ უკეთ გამოვარკვიოთ, უნდა შევეხოთ ამ რამდენისამე წლის წინად მომხდარს ამბავს. 1886 წ. პონსონბის მამულის ფერმერებმა ითხოვეს, რომ მიწის ქირა შეგვიმცირეთ, რადგან მოსავლის ფასმა დაიწიაო. ლენდლორდმა უარი უთხრა და ფერმერებმაც შემკლავება გადასწყვიტეს. ბაასი და კამათობა სამს წელს გაგრძელდა და ის იყო მორიგებითაც უნდა მოჰღებოდა ბოლო, რომ ამ დროს საქმე სულ სხვა გზას დაადგა. ვიღაც სმიტ ბარრიმ, ირლანდიის მამულის პატრონმა, რომელსაც პონსონბის საქმეში არც მწვადი ეწოდა და არც შამფური, დააარსა ლენდლორდთა საზოგადოება, რომ პონსონბის მამული ვიყიდოთ და ფერმერები უმიწოდ დავსტოვოთო. მოიჯარადრეები არამც თუ მამულის ყიდვაზედ ვეღარ მოურიგდნენ პატრონს, არამედ სულ უმიწა-წყლოდ დარჩნენ. ამ საქმეზედ პარლამენტშიაც ჩამოვარდა ლაპარაკი და ბალფურმა გამოაცხადა: „მე მიკიჟინებენ, რომ საქმეში ჩაერევი ხოლმე, როცა ფერმერები ზავსა ჰკრავენ ერთმანეთში, ერთმანეთს უკავშირდებიან, და ამიტომ მაშინაც უნდა ჩაერიო, როცა ზავის შემკვრელნი მამულის პატრონები არიანო. მე-კი რა დავა მაქვს, ვინც უნდა მიემხრონ ერთმანეთს. მე რომ ირლანდიელი ფერმერი ვიყო და ლენდლორდები შეერთდნენ ჩემ წინაალმდეგ, მაშინ მეც სხვა ჩემისთანავე ფერმერებს მოვიმხრობდი და იმათ წინაალმდეგ ვიმოქმედებდი. მთავრობა ამ ზავისა და კავშირის შეკვრას ვერ შეეხება და არც დრო აქვს იმისთვისაო". სთქვა ეს სიტყვები ბალფურმა და ის-კი არ იცოდა, რომ ამით ირლანდიის მეთაურთ ლენდლორდიზმთან საბრძოლველად აქეზებდა და ამ ბრძოლისთვის ახალს იარაღსა სძენდა. მართლაც, არ გაიარა რამდენმამე დღემ, რომ ახალი საზოგადოება გამოიჩინა, ესრედ წოდებული „საზოგადოება ფერმერების დასაცველ-დასაფარავად". ამ ახალის საზოგადოების დაარსებას ქვეყანას შეატყობინებს თვით პარნელი დუბლინში და განმარტავს, თუ რა აზრი აქვს საზოგადოებას და რა გზით ივლისო, უთქვამს ამას წინად ტიპპერარისშიო' ბრიენს. ამ საზოგადოების ქვეშ უნდა მოიყაროს მთელმა ირლანდიამ თავი, წევრთა შორის არავითარი მოურიგებლობა და უთანხმოება არ უნდა იყოს და მკვიდრად უნდა იყოს შეერთებულ-შეკავშირებული ერთად სამოქმედოდ ირლანდიის ერი თავის მეთაურებითა და სამღვდელოებითურთ. პარნელის მომხრენი ჯერ-ჯერობით ჩუმად არიან, ამ საზოგადოებისას არას ამბობენ, მაგრამ ის-კი უკვე ცნობილია, რომ საზოგადოებას აზრად აქვს იმოქმედოს განსაკუთრებით კანონიერის საშუალებით, ფულით, რჩევით, უფასო ვექილების გზავნით სასამართლოებში და სხვა, კანონის მიერ აღუკრძალველის, ღონით, და მხარი უნდა დაუჭიროს ფერმერებს, მოეხმაროს ლენდლორდებთან ბრძოლის დროს, იმ ლენდლორდებთან, რომელნიც უშველებელს რენტებსა თხოულობენ.

## სიყვარული და ქორწინება ამერიკაში

წერილები დ-ვარინისა

### VI *)

თუ ყმაწვილ ქალს სიმხიარულე და გართობა უყვარს, ის უნდა შეიტყოს, რომ მის მიერ მოწონებულს კაცსაც ესიამოვნება თუ არა ესევე სიმხიარულე და გართობა და ცოლის დროს გატარების სურვილს დააკმაყოფილებს, თუ არა. ლექსებით შეიძლებს ქალი გამოათქმევინოს ყმაწვილს კაცს თავისი ავი და კარგი, იმედი და მერმისის მოლოდინი, ისე ჰკითხავს, როგორც და, რომელსაც ძმის კეთილდღეობა გულს გაუკეთებს და უბედურება დაალონებს და დაამწარებს. როცა ყველაფერს შეიტყობს და გამოირკვევს, მაშინ გადასწყვეტს ხოლმე, უნდა მისთხოვდე ამ კაცს, თუ არაო.

თუ ყმაწვილ ქალს უფრო ოჯახის მშვიდობიან ცხოვრებისაკენ მიუწევს გული, თუ იგი ბედნიერებად ჰხადს მარტო ქმართან ცხოვრებას ტკბილად, ერთ-სულ და ერთ-გულ, მაშინ ის უნდა შეიტყოს, ეყვარება თუ არა იმასაც ის, რაც მე მომწონს, და კმაყოფილი იქნება თუ არა ოჯახის მშვიდობიანის ცხოვრებითაო? თუ პოლიტიკაში დიდის ადგილის დაჭერა უნდა და ჰსურს ჰბრწყინავდეს ვაშინგტონში, უნდა გაიგოს, სახელმწიფო კაცის უნარი ემჩნევა, თუ არა და თავისის ნავის პოლიტიკის მღელვარე ზღვაზედ ტარებას შეიძლებს, თუ არაო.

ამერიკელი ქალი არასოდეს ქედს არ უხრის იმ მდგომარეობას, რომელშიაც გი ყმათა ვითარება ჩააყენებს თავისდა უნებურად, თავისს გემოვნებას არასოდეს არ შეურჩევს ხოლმე სხვისას. იგი ისე არ არის აღზრდილი, რომ ყოველს სიოს გადაეზნექინოს, სამხრეთისა იქნება ეს სიო, თუ ჩრდილოეთისა. იგი არა ჰგავს გერმანიის იმ პრინცესებს, რომელნიც აღზრდის გამო ყველაფერს შეიძლებენ — კათოლიკობასაც, პროტესტანტობასაც, ან მართლ-მადიდებლობას, ინგლისელობას, ან რუსობას, იტალიელობას, ან ბერძნობას, იმის მიხედვით, თუ რომელს ამათგანს დაუნიშნავს ბედი ქმრად. პირ-იქით, ამერიკელ ქალის აზრი და გემოვნება უკვე გამორკვეულია და საგნად მხოლოდ ისღა აქვს ქმრის ძებნის დროს, რომ თავისთანა არჩიოს, თავისის გემოვნებისა და ხასიათის კაცი. ზამთრობით სალონებში, ზაფხულობით ნიუ-იორკსა, სარატოგსა, ლონგ-ბრენჩსა და სხ. იგი მოუსვენებლად და დაუღრომლად ეძებს თავისს საბედოს, ისევე თავ-გამოდებულად, როგორც მამაკაცი სიმდიდრეს. თუმცა-კი სხვა გზით, მაგრამ ამერიკელი ქალი განა იმისვე მიღწევას არ არის მოწყურებული, რასაც მამაკაცი. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ თუ მამაკაცს ვაჭრობაში არ გაუმარჯვდა, იმის წინაშე ღიაა ბანკები, პოლიტიკა, მეურნეობა, მრეწველობა; თუ იგი შეცდომით სხვა გზას დაადგა, უკან შეუძლიან დაბრუნება და ამისთვის დროც შესწევს და ხანიც. ქალისთვის-კი სულ სხვაა: ერთი შეცდომა მთელს სიცოცხლეს წაუშხამებს და არც დრო და ხანი ჰშემწეობს და უმართავს ხელს. ამიტომაც არც საკვირველია, რომ იგი განსაცვიფრებელის ხელოვნებით, საკვირველის მოხერხებით ჰმოქმედობს ამ ძნელს საქმეში, და თუმცა გარეგანის შეხედულობით უზრუნველსა და მხიარულსა ჰგავს, მაგრამ ყოველთვის სარგებლობას ეტანება, უბრალო ბაასიდგანაც-კი გამოარჩევს ხოლმე ისეთს ნაპერწკალს, რომელიც ყმაწვილის კაცის მდგომარეობის ერთს რომელსამე მხარეს ანათებს და ნათელსა ჰფენს. იგი სატრფოს ხასიათის სიმტკიცით არის აღჭურვილი, თუმცა შეიძლება გულმა გაიტაცოს და გრძნობამ შორს-მხედველობა დაუბლაგვოს.

ამ ბრძოლაში ამერიკელი ქალი იარაღად ჰხმარობს თავისს ბუნებრივს ალღოს, განვითარებულს გონებას და ცოდნას მამაკაცის ბუნებისას, იმ მამაკაცისას, რომელიც თავისის ფიქრის დაფარვას ჩვეული არ არის, რომელსაც იჭვი ააფეთქებს ხოლმე, პატივ-მოყვარეობა თვალს უხვევს, ვნება გაიტაცებს და ქალის ოსტატობა და მოხერხებულობა ხომ საბოლოოდ ჰხვევს თავ-ბრუს. მერე ამისთანა ბრძოლის დროს განა შესაძლებელი არ არის, რომ ქალმა შეიბღალოს, ან დაჰკარგოს ის, რასაც ჩვენ დედათა სამკაულს ვეძახით და დიდს ფასსაცა ვდებთ? იქნება, ხოლო თუ მხედველობაში ვიქონიებთ საგანს, არჩევანის ურის საჭიროებას და ამასთან თვით ამრჩეველისავე პასუხის-მგებლობას, თუ ვინიცობაა შესცდა, — განა იგი მართალი არ არის, როცა იმ უპირატესობითა და ბუნებრივის იარაღით იკვალავს ეკლიანს გზას, რომელიც ბუნებამ მიანიჭა?

ამიტომაც ეკეკლუცობა ისეთივე ხელშეუხებელი უფლებაა ქალისა შეერთებულს შტატებში, როგორც საფრანგეთში 1789 წ. პრინციპები. ქალი მამაკაცს ნებას აძლევს პოლიტიკაზედ იმრომოს, ხოლო თითონ თავისს ბედნიერებას თავისებურად უწყობს ხელს. რადგან ეკეკლუცობა, ესრედ წოდებული flirtation'ი, ერთი საშუალებათაგანია ამ საგნის მისაღწევად, ამიტომ დროებითი დაახლოვება ახალგაზდებისა იქ სათაკილოდ მისაჩნევი არ არის. ყმაწვილს ქალსა და კაცს ხელ-შეუშლელად შეუძლიანთ ითამაშონ სიყვარულის კომედია, რეპეტიცია ჰმართონ წარმოდგენამდე, განცალკევდნენ, განშორდნენ ხალხს და ერთად ისეირნონ, ერთად იმუსაიფონ და ისიამოვნონ.

ნიუ-პორტსა, ატლანტიკ-სიტსა, ბარგარბორსა და ლონგ-ბრენჩის მეფაბრიკეებმა აქაც სარგებლობის გამოტანა მოისურვეს და შეყვარებულებს ქირით აძლევენ უშველებელს ქოლგებს, რომელსაც გრძელი, გამწვეტებული ტარი აქვს. ამ წვეტიანს ტარს ქვიშნარში დაასობენ ხოლმე და იგი იცავს ახალგაზდებს მზის ცხარე სხივისაგან, იგი ჰფარავს იმათს ვინაობას, რომელთაც არ უნდათ ყველას დასანახი და საყურებელი შეიქმნან.

ამ გოლიათურ სოკოს თავის ქვეშიდგან მხოლოდ ორი პაწია ფეხი გამოსჩანს, მშვენიერს ფეხთ-საცმელში გამოწყობილი, და ორიც მამაკაცის დიდი ფეხი, ხანდახან-კი, უფრო იშვიათად, შორიდგან მაყურებელი დაინახავს ხოლმე ნაზს ტანს, რომელსაც ტლანქი მკლავი მოჰხვევია! ამას შემდეგ ქოლგის მომგონებმავე გაჰმართეს უშველებელი ქვიშნარი ზღვის პირას, საიდგანაც შეყვარებულთ შეუძლიანთ ზღვის დიდებულის სურათით ისიამოვნონ. ამ ქვიშნარზედ, რომელიც განსაკუთრებით flirtation-ისათვის არის დანიშნული, ახალგაზდა ქალ-ვაჟნი ხშირად და კარგა-ხნობით სხდან და ეს გარემოება არავის აკვირვებს, სათაკილოდ არავის მიაჩნია. ასე იქცევიან არამც თუ მარტო მდიდარნი და შეძლებულნი, არამედ ყველანი, და ის ქალი, რომელიც უამ-flirtation-ოდ გათხოვდება, თავისს თავს უსამართლოდ დაჩაგრულად ჩასთვლის.

მერე ამერიკაში ბოროტ-მოქმედება არასოდეს ხდება და ყმაწვილის ქალისა და კაცის დროებით დაახლოვებას, ეკეკლუცობას, ვნებით სავსე ლაპარაკს სამწუხარო შედეგი არასოდეს მოსდევს? რასაკვირველია, შეიძლება მოჰყვეს, მაგრამ ძალიან, ძალიან იშვიათად-კი, მით უმეტეს, რომ ამერიკულს კანონსა და ზნე-ჩვეულებას ამ შემთხვევაში ხუმრობა არ უყვარს. შეერთებულს შტატებში დონ-ჟუანებს მოწყალედ და გულ-რბილად არ ეპყრობიან. შეურაცხყოფილს ქალსა, შეიარაღებულს მამასა, ძმებსა და სასამართლოს შუა მოქცეულ დონ-ჟუანებს ცუდი საქმე ემართებათ და ამიტომაც ვერა ჰბედავენ ამ გალიპულის გზით სიარულს.

უფრო ცუდი დღე, ქალს-კი არა, კაცს ადგება. ქალებისა იქ ისეთი პატივისცემა აქვთ, ისე მდაბლად იდრეკენ მუხლს დედათა სისუსტისა და მშვენიერების წინაშე, რომ ყოველთვის შეუნდობენ ხოლმე კიდეც შეცდომას. ქალს ეს გარემოება კარგადა აქვს შეგნებული და ბოროტადა ჰხმარობს კიდეც ამ უპირატესობას. ხან ერთს ეკეკლუცება, ხან მეორეს, თავისის ჟინით ხან ამას მიელაქუცება, ხან იმას და იმის დარდს-კი არა სწევს, თუ რა ვნება შეუძლიან მოუტანოს კაცს.

მორალისტები სწუხან ამის გამო და არ იშურებენ ქალებისთვის თავისს ბრძნულს რჩევასა და მამობრივს დარიგებას. ბეჭდვითი სიტყვაც-კი ერევა ამ საქმეში და ქალს ურჩევს, რომ ბოროტად ნუ ჰხმარობ შენს სქესებრივს უპირატესობასაო. აი რას ამბობს ერთი გაზეთი ამის შესახებ: „სად არის სიკეკლუცის, flirtation-ის საზღვარი? ის-კი ვიცით, სად იწყება, მაგრამ არავინ იცის — სადა თავდება, ბოლო სად ელება. ჩვენი ყმაწვილი ქალები სშირად წრეს გადადიან. იმათ რომ დავუჯეროთ, ჩვენის ბუნებისამებრ ვიქცევით, უეშმაკოდ, უმზაკვროდაო. განა ეკეკლუცობა დაერქმევა იმას, რომ ყმაწვილს ქალს სიცილი და ხუმრობა მოსწონსო? თუ სიმხიარულე, ან მწუხარება ჩვენს სახეს ამშვენებს, განა ამისთვის გასამტყუნარნი ვართო? კარგი თავის გამართლებაა, ხოლო, საუბედუროდ, ჩვენი ქალი თავს განგებ იმხიარულებს, მწუხარებას განგებ დაიჩნევს ხოლმე სახეზედ. აგერ ლამაზად მორთული ყმაწვილი ქალი, თაყვანის-მცემლებით გარშემორტყმული, ისე არსად მიიხედავს, ხელსაც-კი არ გაიქნევს, რომ განგებ გამოანგარიშებული არა ჰქონდეს, ადრევე მოფიქრებუ-

*) იხ. „ივერია" №№ 139, 140, 141, 143 და 144.

ლი. იგი მხოლოდ იმის ზრუნვაშია, რომ ხალხი გაართოს, თაყვანის-მცემლები გაიმრავლოს, თავისი გაუმაძღარი თავ-მოყვარეობა დაიკმაყოფილოს და თავისი სახელი ხშირად ამოიკითხოს გაზეთებში. ჩვენი ქალი არ ასრულებს თვით უკეთილშობილესს დანიშნულებას დედაკაცისას—გიყვარდეს და საყვარელ იქმნაო“.

# დეპეშა

10 მკათათვე

ლონდონი. კრიტის კუნძულიდგან იუწყებიან, რომ მეამბოხეთ მთავრობის წარმომადგენელნი გარეკეს ვამოსიდგან, სიდონიიდგანა, და არხივები დასწვესო. სოფლის მკვიდრნი ფრიად შეშინებულნი არიან და რეტიმოში შეაფარეს თავიო.

ვენა. ბოლგარიაში რამდენიმე ავაზაკების ბრბო შემდგარა და პრინცის კობურგელის დაჭერა უნდათ თურმე.

ათინა. უცხო-ქვეყნების ელჩნი წავიდნენ ბუცუმარიაში თავ-მოყრილ კრიტის მეამბოხეთა უფროსებთან და დაჰპირდნენ, რომ ვეცდებით გუბერნატორის აქედგან უკან დაბარებას და აგრეთვე კუნძულის მკვიდრთა უმთავრეს თხოვნათა აღსრულებასაო. ამასთან ელჩებმა ურჩიეს, რომ ხალხი წეს-რიგს ნუ დაარღვევსო. მეამბოხეთა წინამძღოლლებს პასუხად ჯერ არა უთქვამთ-რა. ოსმალეთიდგან კრიტის კუნძულზედ ჯარი იგზავნება.

პეტერბურგის ბირჟა, 7 მკათათვე.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 81 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 156 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . . | 260 „ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | 241 „ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 98 „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 98½ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | 84½ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მკათათვ დამ 16 მკათათვემდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. . 3½ „
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2— 4 „
„ „ 3 „ 3½ „
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . 4 „
მე-3 — . . . „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 9 „
ღორის ხორცი . . . „ „
„ 2 „ „ „

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულკავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.



# განცხადებანი

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «სალმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ვაზის ობი . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 4 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . . | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გუნიასშვილისა . . . . | „ | 15 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 3 |
| მცხეთისტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა. . . . . . . . | „ | 25 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . . | „ | 45 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ . | „ | 5 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . | „ | 30 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი . . . . . . . . | „ | 50 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| თამარ-ცბიერი, აკაკისა . . | „ | 50 |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები . . . . . . . | „ | 50 |
| ნ. ბარათაშვილის ლექსები | „ | 40 |
| სამის თავ-გადასავალი, მოთსამი კომედია, ა. ცაგარლისა . | „ | 60 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . . | „ | 50 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . | „ | 5 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| სამართლის წიგნი კახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |

კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ხეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზავის ხასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრძად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილის ქუჩა, ბექხანოვის სახლი, № 103.

(10—8)

## კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

## ЗАВОДЪ МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ



СЕРЕБРЯНАЯ

А. А.



ЗОЛОТАЯ

## ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже солдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—45) ა. თუთაევი

## დიდი სააბრეშუმო ქარხნები

მოლტიფაოში (კორსიკის კუნძულზედ) და ვიგანს (გარდში)

ცელიულიარის აბრეშუმის თესლი (პასტერის სისტემისამებრ)

BERTRAND ET ALOISI




ყვითელი და თეთრი პარკი.

ვისაც Bertrand et Aloïsi-ს თესლის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ტფილისის აბრეშუმის სტანციას 1889 წლის ოქტომბრის თვიდგან დაწყებული.

(10—1)



Дов. ценз. Тифлисъ 11-го Іюля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე